



EaPTC

აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული
თანამშრომლობის პროგრამა

საქართველო

საქართველოში არსებული ეროვნული
მოთხოვნების სახელმძღვანელო,
რომელიც EaPTC პროგრამის
ფარგლებში დაფინანსებული პროექტების
განხორციელებას ეხება



პროგრამა დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ



ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა აძლევს საშუალებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს განსაზღვრონ და ერთობლივად დაძლიონ მოსაზღვრე რეგიონებში არსებული საერთო გამოწვევები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონტექსტში არსებობს. აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა მოიცავს შემდეგ 4(ოთხი) ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამას: საქართველო-სომხეთი; საქართველო-აზერბაიჯანი; ბელარუსი-უკრაინა და მოლდოვა-უკრაინა.

მოცემული სახელმძღვანელო ევროკავშირის დახმარებით მომზადდა. სახელმძღვანელოს შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია MWH-ს და მისი პარტნიორები, ის არ გამოხატავს ევროკავშირის მოსაზრებებს.

სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია ასახავს 2014 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით არსებულ ვითარებას. აღნიშნული თარიღის შემდგომ განხორციელებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ცვლილებები ვერ იქნება დოკუმენტში გათვალისწინებული.

სარჩევი

აკრონიმები და აბრევიატურა..... 4

შესავალი 5

ავტორები 5

ნაწილი 1 პროექტის დანყება 6

 1. პროექტის რეგისტრაცია 9

 2. საბანკო ანგარიშის გახსნა..... 10

 3. გუნდის ჩამოყალიბება: შინა-განაწესი და ურთიერთობები კონტრაქტის საფუძველზე ადამიანური რესურსების სფეროში 12

 4. სააღრიცხვო სისტემის ჩამოყალიბება: ფინანსური აღრიცხვის თავისებურებები 13

ნაწილი 2 პროექტის განხორციელება 15

 1. თანხების მიღება და გადარიცხვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 16

 2. უცხოური ვალუტის გაცვლა..... 17

 3. საგადასახადო დაბეგვრა: დაბეგვრა გრანტის მიმღები ბენეფიციარების სფეციფიკურობის მიხედვით:.. 19

 • დამატებული ღირებულების გადასახადი (გადასახადისაგან გათავისუფლების პროცედურა) 19

 • საშემოსავლო გადასახადი..... 21

 • ქონების გადასახადი..... 23

 • იმპორტის გადასახადი 24

 4. მივლინების ხარჯები: მგზავრობისა და დღიური სამივლინებო თანხების ანაზღაურება ქართველ და უცხოელ დაქირავებულებს/ექსპერტებს..... 25

 • ქართველი და უცხოელი ექსპერტების ჩართვა პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში, რომლებიც ხორციელდება საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე..... 25

 5. არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების თავისებურებები 28

 6. აღჭურვილობის და მასალების შეძენა: შეძენა და რეგისტრაცია 29

 • სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შესყიდვები 29

 • არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შესყიდვები..... 29

 • რეგისტრაციას დაქვემდებარებული აღჭურვილობის შესყიდვა-რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონება 31

 7. გამარტივებული პროცედურები მშენებლობის ნებართვისათვის..... 33

ნაწილი 3 პროექტის აუდიტი 34

 მიმოხილვა 35

 აუდიტორის დაქირავება საქართველოში პროექტის ხარჯების შემოწმების მიზნით (ხარჯების შემოწმება ტექნიკური დავალების შესაბამისად) სტანდარტები და ეთიკა..... 36

დანართები 38

დანართი I საქართველოში ევროდელეგაციის წარმომადგენლობისთვის წარსადგენი წერილის ნიმუში... 39

დანართი II დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნების შესახებ 40

დანართი III პროცედურების მოკლე მიმოხილვა..... 41

დანართი IV ძირითადი ტერმინების განმარტებანი..... 42

დანართი V კითხვები და პასუხები..... 43



აკრონიმები და აბრევიატურა

EaPTC	აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
CBC	საზღვრისპირა თანამშრომლობა
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
EU	ევროკავშირი
EC	ევროკომისია
ENP	ევროპის სამეზობლო პოლიტიკა
ENPI/ENI	ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი/ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტი
PCA	პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება
PRAG	ევროკავშირის საგარეო ქმედებათა პრაქტიკული სახელმძღვანელო კონტრაქტის პროცედურებისათვის
IFAC	ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია
IFRS	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
IAS	ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
WTO	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია
MoE	საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო
MoF	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
RS	შემოსავლების სამსახური
NIP	ეროვნული და საკონტაქტო პირი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
N(N)LE	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
VAT	დამატებული ღირებულების გადასახადი

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას სახელმწიფო მოთხოვნების და პროცედურების შესახებ, რომელთა შესრულება საქართველოში EaPTC პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელებისას აუცილებელია.

იგი ავსებს სახელმძღვანელო პრინციპებს ამ პროგრამებით გათვალისწინებული EaPTC წესების შესახებ, რომელთა დაცვაც აუცილებელია. წინამდებარე სახელმძღვანელოში არსებული ინფორმაცია საქართველოში პროექტების განხორციელების და ფინანსური მენეჯმენტის სფეროში სახელმწიფო ორგანოების, რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციების პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება.

მოცემული სახელმძღვანელო განსაკუთრებით სასარგებლო იქნება EaPTC პროექტების ბენეფიციარებისთვის და პარტნიორებისთვის საქართველოში. ამასთან, იგი EaPTC პროექტის უცხოელ პარტნიორებს და პოტენციურ აპლიკანტებს/პარტნიორებსაც წაადგება, რომლებსაც აინტერესებთ ქვეყანაში პროექტების განხორციელებისათვის საჭირო პროცედურები. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო განკუთვნილია EaPTC პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პროექტების განხორციელებისთვის, იგი ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს სხვა საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროგრამებთან მიმართებაში.

სახელმძღვანელო პროექტის ციკლის სამ ფაზაზეა ფოკუსირებული: განხორციელება, შეფასება და აუდიტი. სახელმწიფო რეგულაციებზე დაყრდნობით და საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში ჩართული ქართული ორგანიზაციების მიერ დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, სახელმძღვანელო, მთელ რიგ აქტუალურ საკითხებთან ერთად შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან შედგება:

- პროექტის დაწყება;
- პროექტის განხორციელება;
- პროექტის აუდიტი და ანგარიშის წარდგენა.

სახელმძღვანელოს საფუძვლად უდევს, საქართველოში პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნები.

სახელმძღვანელო წარმოადგენს პრაქტიკულ საშუალებას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მომხმარებელს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით პრაქტიკულ დახმარებას სთავაზობს.

ავტორები

სახელმძღვანელო მომზადდა ევროკავშირის პროექტის “Regional Capacity Building Initiative” (RCBI)-ის მიერ 2012 წლის ივნისში და განახლდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის (EaPTC) განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანიის „ALTAIR ASESORES“ მიერ 2014 წლის ნოემბერში.

სახელმძღვანელო განახლებულ იქნა ექსპერტის ბ-ნი დავით ცისკარიძის მიერ.

ნაწილი 1 პროექტის დაწყება



მიმოხილვა

ევროკავშირის პროექტების განხორციელებას საქართველოში კოორდინაციას უწევს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ხოლო სახელმწიფო მინისტრს აქვს ევროკავშირის დახმარების ეროვნული კოორდინატორის სტატუსი. შესაბამისად სახელმწიფო მინისტრის აპარატი პასუხისმგებელია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აქტივობების ზოგად კოორდინაციაზე, რაც გულისხმობს უწყებათაშორის კოორდინაციას, ევროკავშირის დახმარებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების, რეგულაციების და სხვა საბაზისო დოკუმენტების მომზადებას, ევროკავშირის მიმდინარე პროექტების მონაცემთა ბაზის პერიოდულ განახლებას, პროექტების ბენეფიციართა ინფორმირება დახმარების პროცედურებისა და წესების, ასევე ევროკავშირის პროგრამებთან ხელმისაწვდომობის შესახებ. მეორე მხრივ, დარგობრივ დონეზე ევროკავშირის პროგრამების კოორდინაცია ხორციელდება დახმარების მიმღები სექტორალური სამინისტროების მიერ. EaPTC პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში მიმდინარე აქტივობების კოორდინაცია ხორციელდება საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. ევროკავშირის მხრიდან, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აქტივობების კოორდინაციას ახორციელებს ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, რომელიც ახდენს მეთვალყურეობას და მონიტორინგს შესაბამისი პროექტების მენეჯერების საშუალებით.

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახ. მინ. აპარატი
საკონტაქტო პირი: დავით ბუჯიაშვილი, ევროკავშირის დახმარების დეპ. უფროსის მოადგილე
მისამართი: თბილისი, ინგოროყვას 7, +99532 998914
ელ-ფოსტა: d.bujiashvili@eu-nato.gov.ge
ვებ-გვერდი: <http://eu-nato.gov.ge/en>

საკონტაქტო ინფორმაცია

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საკონტაქტო პირი: გიორგი წაქაძე, რეგიონალური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის 12; +995 32 2510800
ელ-ფოსტა: g.tsakadze@mrdi.gov.ge
ვებ-გვერდი: <http://www.mrdi.gov.ge/en/main>

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში
საკონტაქტო პირი: შტეფან შტორკი, საოპერაციო სამსახურის უფროსის მოადგილე
მისამართი: თბილისი, ნინო ჩხეიძის N38; +99532 294 37 63 / 294 37 69
ელ-ფოსტა: stephen.stork@eeas.europa.eu
ვებ-გვერდი: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_ka.htm



EaPTC პროგრამის სამართლებრივი სტატუსი

სამართლებრივი ბაზა

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ჩარჩო შეთანხმება (მოწინააღმდეგე 23.02.2007 და რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 25.02.2009);

ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს საქართველოში არ გააჩნიათ ლეგალური სტატუსი და შესაბამისად არ წარმოადგენენ სამართლებრივად იურიდიულ პირს. პროექტების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები რეგულირდება 2007 წლის 23 თებერვალს ხელმოწერილი და 2009 წლის 25 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საქართველო-ევროკავშირის ჩარჩო შეთანხმების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს დებულებებს ევროკავშირის მიერ სრულად თუ ნაწილობრივ დაფინანსებული პროექტებისათვის. კერძოდ გაცვლითი კურსების გამოყენება, გადასახადებთან და საბაჟო ტარიფებთან დაკავშირებული დებულებები. მაგალითისათვის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აქტივობის ფარგლებში იმპორტირებული საქონელი, რომელიც გამიზნულია პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესასრულებლად გათავისუფლებულია საბაჟო თუ სხვა სახის გადასახადებისაგან. ევროკავშირის დახმარების მიმღები ქვეყანა (ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა) პასუხისმგებელია უზრუნველყოს ევროკავშირის პროექტის ფარგლებში იმპორტირებული საქონლის გათავისუფლება საბაჟო გადასახადებისაგან საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში მოხვედრისთანავე.

1. პროექტის რეგისტრაცია

<p>სამართლებრივი ბაზა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ჩარჩო შეთანხმება (ხელმოწერილია 23.02.2007 და რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 25.02.2009); • საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“ (მიღებული 28.06.1996);
----------------------------------	--

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები, მათ შორის EaPTC-ის პროგრამის პროექტები უნდა დარეგისტრირდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში. რეგისტრაცია აუცილებელია, რათა პროექტის მიმღებმა ისარგებლოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტებისათვის მინიჭებული საგადასახადო შეღავათებით.

ცნობისათვის: ერთიდაიგივე წესები ვრცელდება სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორზე:

საქართველოს ბენეფიციარებმა და პარტნიორმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მოიპოვებენ გრანტს EaPTC პროგრამის ფარგლებში, უნდა წარადგინონ ერთიან მმართველ ორგანოსთან(GIZ) ხელმოწერილი დაფინანსების კონტრაქტის ასლი ევროკომისიის დელეგაციის კონტრაქტების განყოფილებაში და მოითხოვონ საგადასახადო შეღავათებით სარგებლობისათვის პროცედურების დანყება. განცხადების საფუძველზე, ევროკომისიის დელეგაცია მიმართავს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, რათა ამ უკანასკნელმა პროექტი დაარეგისტრიროს გადასახადებისაგან გათავისუფლებული პროექტების ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (რეესტრში). აღნიშნულ ბაზაში რეგისტრაციის საფუძველზე პროექტი შეძლებს, პროექტის ფარგლებში განახორციელოს საქონლისა და მომსახურების შესყიდვები საგადასახადო შეღავათების გამოყენებით (იხ. სქემა N3).

პრაქტიკული ინფორმაცია:

გრანტის სტატუსის მისაღებად, გრანტის მიმღები წარადგენს საქართველოში ევროკომისიის დელეგაციაში შემდეგი სახის დოკუმენტაციას:

- გრანტის მიმღების განაცხადი; (იხ.დანართი 1)
- გრანტ კონტრაქტი და ბენეფიციართან პარტნიორობის შესახებ შეთანხმება(პარტნიორის შემთხვევაში);
- გრანტის მიმღები ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ ამონაწერი;

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში
 საკონტაქტო პირი: დელეგაციის კონტრაქტების განყოფილება
 მისამართი: 38 Nino Chkheidze St., Tbilisi, Georgia; +99532 294 37 63 / 294 37 69
 ელ-ფოსტა: Delegation-Georgia@eeas.europa.eu
 ვებ-გვერდი: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_ka.htm



2. საბანკო ანგარიშის გახსნა

სამართლებრივი ბაზა	საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №24/04 მიღებული 07.04.2011; 2014 წლის 12 დეკემბრის N 2935 საქ. საბიუჯეტო კოდექსის ცვლილება
---------------------------	--

მიმოხილვა:

პროექტის საწყის სტადიაზე EaPTC პროექტის ბენეფიციარმა ან პარტნიორმა უნდა გახსნას ანგარიში კომერციულ ბანკში ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 07 აპრილის N 24/04 ბრძანებულების შესაბამისად, რომელიც ადგენს ინსტრუქციებს საბანკო ანგარიშის გახსნისა და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებით. ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას (არასამეწარმეო იურიდიული პირი), საჯარო სამართლის იურიდიულ პირს თუ საბიუჯეტო ორგანიზაციას შეუძლიათ ნებისმიერ კომერციულ ბანკში გახსნან ერთი ან მეტი საბანკო ანგარიში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

საბანკო ანგარიშის გასახსნელად აუცილებელია:

- ეწვიოთ თქვენთვის სასურველ კომერციულ ბანკს.
- შეავსოთ საბანკო ანგარიშის განაცხადი და წარადგინოთ ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია (იხ. ქვემოთ ჩამონათვალი).
- გააფორმოთ საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ ხელშეკრულება.

საკონტაქტო ორგანიზაცია/პირი	საქართველოს კომერციული ბანკები
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და ზოგადად ორგანიზაციების მიერ წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. ამონაწერი მენარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან; 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო განაცხადი/ ან წესდება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული ნოტარიულად; შენიშვნა: თუ შესაძლებელია ვებ-გვერდიდან (https://public.reestri.gov.ge/enreg/main.php) დაიბეჭდოს წესდება ან სარეგისტრაციო განაცხადი ბანკის თანამშრომელი უზრუნველყოფს მის ამობეჭდავას; 3. ინფორმაცია დამფუძნებელთა შესახებ გაცემული გამგეობის თავმჯდომარის მიერ, ან სადამფუძნებლო დოკუმენტი; 4. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის განცხადება (დანართი 2-187, 2-187-1) კომპანიის 25%-ნი მეტი წილის მქონე დამფუძნებლების ვინაობის შესახებ, მათი პირადობის დამადასტურებელი საბუთების ასლებთან ერთად; 5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის და ანგარიშის განკარგვა ზერწმუნებულ პირთა ხელმოწერის ნიმუში (დამოწმებული ნოტარიულად ან ბანკის შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ); 6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის და ანგარიშის განკარგვის უფლების მქონე პირების პირადობის დამადასტურებელი საბუთების დედნები, რომლებიც დამოწმდება ბანკის თანამშრომლის მიერ.
ანგარიშის ტიპი	სტანდარტული მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

<p>პრაქტიკული რჩევები</p>	<p>ბანკის ანგარიშის გახსნის საკომისიო სხვადასხვა კომერციულ ბანკებში სხვადასხვაა. ამიტომ საბანკო ანგარიშის გახსნამდე უნდა შეისწავლოთ ბაზარი, კერძოდ ბანკების მიერ შემოთავაზებული მომსახურება და საფასური და მხოლოდ შემდგომ გააკეთოთ არჩევანი;</p> <p>ძირითადად უნდა მიაქციოთ ყურადღება შემდეგ ნიუანსებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ბანკის ანგარიშის გახსნის და მომსახურების საკომისიო; 2. ბანკთან ხელმისაწვდომობის სიმარტივე (ადგილმდებარეობა, სამუშაო საათები); 3. ანგარიშთან ხელმისაწვდომობა (აირჩიეთ ბანკი რომელიც გთავაზობთ მომსახურებას ტელეფონის, ინტერნეტის და სხვა გამარტივებული კომუნიკაციის საშუალებების საშუალებით); 4. საპროცენტო განაკვეთები; 5. მომსახურების ხარისხი;
<p>საჯარო სამართლის იურიდიული პირები და საბიუჯეტო ორგანიზაციები</p>	<p>2014 წლის 12 დეკემბრის N 2935 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შესაბამისად (http://treasury.ge/4956) 2015 წლის 1 იანვრიდან საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და საბიუჯეტო ორგანიზაციებს საბანკო ანგარიშების გახსნა ეკრძალებათ კომერციულ ბანკებში და მოეთხოვებათ გახსნან ანგარიშები სახელმწიფო ხაზინაში.</p>

საბანკო ანგარიშის გახსნის ეტაპები

ანგარიშის გახსნა საქართველოს კომერციულ ბანკებში არის მარტივი პროცედურა, რომელიც სრულდება ერთ საბანკო დღეში დოკუმენტების წარდგენიდან

სქემა N 1



3. გუნდის ჩამოყალიბება: შინაგანაწესი და ურთიერთობები კონტრაქტის საფუძველზე ადამიანური რესურსების სფეროში

სამართლებრივი
ბაზა

საქართველოს შრომის კოდექსი (მიღებული 27.12.2010);

მიმოხილვა

პროექტის ქართველმა ბენეფიციარებმა და პარტნიორებმა უნდა ჩამოაყალიბონ პროექტის გუნდი, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს შესაბამისი სპეციალისტებით (პროექტის მენეჯერი/კოორდინატორი, ფინანსური მენეჯერი, პროექტის მენეჯერის ასისტენტი და ა.შ.) და ასევე საჭიროების შემთხვევაში დაიქირავონ ექსპერტები საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად (მიღებულ 27.12.2010).

პროექტის შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველსაყოფად, ქართველ ბენეფიციარებს (წამყვანი პარტნიორები) და პარტნიორებს შესაძლოა მთელი რიგი შიდა ბრძანებების მიღება დასჭირდეთ, რომლებსაც ისინი დონორებთან, სახელმწიფო, საგადასახადო ორგანოსთან და ა.შ. ყოველდღიურ ურთიერთობაში გამოიყენებენ.

- ბრძანება პროექტის მენეჯერის/კოორდინატორის დანიშვნის შესახებ (პროექტის მენეჯერის სახელი, გვარი, მისი მანდატი ანუ მისი პროექტის იურიდიულ, ფინანსურ დოკუმენტებზე და EaPTC პროგრამის ხელმძღვანელობასთან მიმონერაზე ხელის მოწერის უფლებაუნარიანობა, სხვა ვალდებულებები);
- ბრძანება პროექტის ფინანსური მენეჯერის დანიშვნის შესახებ (ფინანსური მენეჯერის სახელი, გვარი, პროექტში მოღვაწეობის მასშტაბი და ვალდებულებები);
- ბრძანება პროექტის ექსპერტის დანიშვნის შესახებ (ექსპერტის სახელი, გვარი, პროექტში მისი პასუხისმგებლობის სფერო, პროექტში მუშაობის წინასწარ განსაზღვრული სამუშაო დღეების რაოდენობა, მისი ხელფასის დაფინანსების წყარო);
- ბრძანებები პროექტის ბუღალტრულ აღრიცხვასთან, ადამიანურ რესურსებთან და პირდაპირ ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებით.

საქართველოს ბენეფიციარები უნდა იცნობდნენ და გაითვალისწინონ 2010 27 დეკემბერს მიღებული საქ. შრომის კოდექსი.

შესაბამისად ბენეფიციარებმა უნდა დაიცვან საქართველოს შრომის კოდექსში არსებული წესები და მოთხოვნები. რეკომენდირებულია, რომ ბენეფიციარმა თანამშრომლებისთვის შეიმუშაოს დასაქმებასთან დაკავშირებული მკაფიო მოთხოვნები და წესები და გააცნოს თანამშრომლებს ინფორმაცია ორგანიზაციის დასაქმების პოლიტიკის შესახებ.

პრაქტიკული ინფორმაცია

გაითვალისწინეთ შემდეგი ფაქტორები:

- პროექტის ფარგლებში ორგანიზაციაში დასაქმებულთა ანაზღაურება ხდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე (სრული/ნაწილობრივი დროით). აღნიშნული ხარჯები იქნება უზრუნველყოფილი პროექტის ბიუჯეტის „ადამიანთა რესურსების“ ხაზიდან.
- ანაზღაურება იმ ექსპერტთათვის, რომლებიც არ არიან დაქირავებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და წარმოადგენენ სერვისის მომწოდებლებს (დაქირავებულ ექსპერტებს). ეს ხარჯები უნდა აისახოს პროექტის ბიუჯეტის ხაზში „სხვა ხარჯები და სერვისები“ და მათზე ვრცელდება განსაზღვრული შესყიდვის პროცედურები.

მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე პროექტის ექსპერტთა დასაქირავებლად ბრძანების გაცემა საჭირო არ არის. შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე ახალი ექსპერტების დაქირავების შემთხვევაში ორგანიზაციის სამტატო განრიგში სათანადო ცვლილებები უნდა იქნას შეტანილი. სამტატო განრიგში უნდა შედიოდეს ახალი ექსპერტების თანამდებობები, სახელები, გვარები და სახელფასო განაკვეთები.

4. სააღრიცხვო სისტემის ჩამოყალიბება: ფინანსური აღრიცხვის თავისებურებები

<p>სამართლებრივი ბაზა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბუღალტერიის საერთაშორისო სტანდარტები (IAS); • საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება №11-ს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და მათი ინტერპრეტაციების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (2004 წელი); • სპეციალური ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები არასამეწარმეო (არაკომერციული) სამართლის იურიდიული პირებისათვის (მიღებულია 22.03.2005); • საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებულებასთან (საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესახებ) არსებული ინსტრუქციები (მიღებული 28.12.2007);
----------------------------------	---

მიმოხილვა:

როგორც წესი, კერძო სამართლის იურიდიული პირები და მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები აწარმოებდნენ ბუღალტრულ აღრიცხვას ბუღალტერიის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (IAS). 22.03.2005-ში მიღებულ იქნა სპეციალური ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის. სტანდარტები შემუშავდა, რათა დახვეწილიყო ფინანსური ანგარიშგების სისტემა არასამეწარმეო ორგანიზაციებისათვის (ასოციაციები, ფონდები), რომლებიც დარეგისტრირებული არიან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე (მიღებული 14.12.2006, №3967) და არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას. არასამეწარმეო იურიდიული პირები, რომლებიც თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, ასევე თავის საქმიანობაში იყენებენ სტანდარტებს განკუთვნილ სამეწარმეო საქმიანობისათვის (საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტები ან IFRS-ი მცირე და საშუალო საწარმოთათვის).

მოთხოვნები არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ:

- სტანდარტი შემუშავებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის და მომზადებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და მათი ინტერპრეტაციების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (2004 წ). საფუძველზე. მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა საქართველოს კერძო სექტორისა და ასევე საერთაშორისო გამოცდილება არასამთავრობო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ.
- საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და მათი ინტერპრეტაციების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ წარმოადგენს ძირითად ბაზისს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების განსაზღვრისას.
- სტანდარტი შემუშავებულია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში და გამოსაყენებლად დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ.
- თუ წინამდებარე სტანდარტი არ ფარავს არასამეწარმეო იურიდიული პირის მოთხოვნას კონკრეტული სააღრიცხვო ობიექტის მიმართ, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS).

- არასამეწარმეო იურიდიულ პირებს უფლება ზემოთ აღნიშნული სტანდარტის ნაცვლად გამოიყენონ IAS-ს სტანდარტები. ასეთ შემთხვევაში არასამეწარმეო იურიდიულმა პირმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა მიუთითოს, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია IAS-ის საფუძველზე.
- გრანტის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების საერთო წესები და პროცედურები ზემოთაღნიშნულ სპეციფიკაციებშია აღწერილი.

2. მოთხოვნები სახელმწიფო (საბიუჯეტო) ორგანიზაციებისათვის და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის:

საბიუჯეტო(სახაზინო) ორგანიზაციები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ბიუჯეტის დაფინანსებაზე იმყოფება ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება უნდა აწარმოონ 2007 წლის 28 დეკემბრის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1321 მიღებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად.

1. ეს ინსტრუქცია მომზადებულია აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და განსაზღვრავს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების(შემდგომში- ორგანიზაციების) ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიურ საფუძველებს.
2. ინსტრუქციის მიზანია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი წესების, პირობების და ანგარიშთა გეგმის განსაზღვრა.
3. ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ქაღალდზე ან ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით, ამ ინსტრუქციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის და ანგარიშთა გეგმის შესაბამისად.
4. ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა მომზადებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად და გათვალისწინებულია ფინანსური ანგარიშგების მიმართ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები.
5. ნებადართულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტების(მათ შორის მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელმა ბენეფიციარმა (ან პარტნიორმა) ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, ხოლო ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ აღნიშნული გათვალისწინებულია პროექტის ხელშეკრულებით.

ნაწილი 2 პროექტის განხორციელება



1. თანხების მიღება და გადარიცხვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ

<p>სამართლებრივი ბაზა</p>	<ul style="list-style-type: none"> ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებულება N24/04, თავი III , მუხლი N11 - „უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციების შესრულებასთან დაკავშირებით“; კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (21 მუხლის მე-3 პარაგრაფი, მიღებული 27.03.2007) და კანონი „არალეგალური შემოსავლის ლეგალიზების პრევენციის ხელშეწყობის შესახებ“ (მე-6 მუხლის მე-6 პარაგრაფი, მიღებული 20.12.2011);
--------------------------------------	--

მიმოხილვა:

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების (№24/04, თავი III მუხლი N11 "უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოება") თანახმად, დასაშვებია უცხოური ვალუტით ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელება, გარდა:

- საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებისა და/ან მომსახურების განწევასთან დაკავშირებული გადახდებისა, თუკი აღნიშნული ოპერაცია არ არის დაკავშირებული ექპორტ-იმპორტთან.
- თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირის სასარგებლოდ რეზიდენტის მიერ განხორციელებული გადახდებისა.
- იმ შემთხვევაში თუ ვალუტით ტრანზაქციის თანხა აღემატება 30,000 ლარს. ასეთ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია (კონტრაქტი, ინვოისი, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.).

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹ მუხლის მე-3 პარაგრაფის და „არალეგალური შემოსავლის ლეგალიზების პრევენციის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ და მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია.

პრაქტიკული ინფორმაცია:

EaPTC პროგრამის ფარგლებში, როცა ბენეფიციარი ანუ წამყვანი პარტნიორი საქართველოში მოქმედი ორგანიზაცია მიიღებს გრანტით გათვალისწინებულ თანხებს, მის მიერ უნდა მოხდეს შესაბამისი თანხების გადარიცხვები პარტნიორ ორგანიზაციებთან, როგორც საქართველოში ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ თუ გადასარიცხი თანხა აღემატება 30 000.00 (ოცდაათი ათასი) ლარს ან ექვივალენტს სხვა ვალუტაში, ბანკი ვალდებულია ორგანიზაციას მოთხოვოს გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, ამ შემთხვევაში სავალდებულო იქნება პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების და ინვოისის წარდგენა, რომლებიც დამტკიცებულია დონორი ორგანიზაციის მიერ.

2. უცხოური ვალუტის გაცვლა

მიმოხილვა

ქართველი ბენეფიციარებისთვის(ნამყვანი პარტნიორები) და პარტნიორებისთვის არ არსებობს სპეციალური სახელმწიფო ნორმები უცხოური ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებით. როგორც წესი, ანგარიშსწორების ლარში განსახორციელებლად ბენეფიციარის ბუღალტერმა ევროში არსებული თანხა უნდა გადაცვალოს ლარში და ლარის ანგარიშზე ჩარიცხოს. ასეთ შემთხვევაში, ბანკში ორი დოკუმენტის წარდგენა იქნება საჭირო: დავალება ევროში არსებული გარკვეული თანხის ლარში კონვერტაციის შესახებ და საგადახდო დავალება მომწოდებლისთვის გარკვეული თანხის ლარში გადახდის შესახებ.

პრაქტიკული ინფორმაცია:

სუბიექტის(შიდა) და პროექტის ბუღალტერიაში სავალუტო კურსების ასახვასთან დაკავშირებით შესაძლებელია სირთულეები შეიქმნას, ვინაიდან ბუღალტრულ აღრიცხვაში ევროკომისიის დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით, სამი სავალუტო კურსის გამოყენების აუცილებლობა იქმნება.

- ბანკის სავალუტო(საბაზრო) კურსი, სადაც პროექტის სპეც. ანგარიშები არის გახსნილი. ეს სავალუტო კურსებია, რომლებიც ევროს ანგარიში და/ან ლარის ანგარიშებზე და პირიქით გაცვლისთვის გამოიყენება.
- ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები(www.nbg.gov.ge). საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა მოითხოვს, რომ ყველა ტრანზაქცია და გატარება ქართულ ლარში იყოს ასახული. რაც შეეხება უცხოური ვალუტით წარმოებულ ოპერაციებს, აღრიცხვა წარმოებს ექვივალენტით ლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო გაცვლითი კურსების ლართან მიმართებაში შესაბამისად.
- ევროკომისიის ინფო ევროს გაცვლითი კურსი (<http://ec.europa.eu/budget/inforeuro>), რომელიც პროექტის ფარგლებში განხორციელებული ყველა ტრანზაქციის დროს გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ ყველა განუღი ხარჯი პროექტის ფარგლებში და წარსადგენი ფინანსური ანგარიში უნდა გადაანგარიშდეს ინფო ევროს კურსზე. საკურსო ზარალი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ სავალუტო გაცვლით კურსებსა და ევროკომისიის მიერ მითითებულ კურსებს შორის არსებული სხვაობის შედეგად წარმოიქმნება, EaPTC პროგრამის გრანტის სახსრებით ვერ დაიფარება.

ცნობა: სავალუტო კურსების აღრიცხვა რეგულირდება საქ. საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს საგადასახადო დაბეგვრის ობიექტს და ვალდებულებებს ცალკეულ შემთხვევებში. ამ მუხლში ნათქვამია: „უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაცია, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, ასევე საბაჟო ღირებულების და იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის განსაზღვრისას უცხოური ვალუტა გადაიანგარიშება ლარებში:


- ა) ოპერაციის დღისათვის/საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ბ) კურსით, რომელიც განისაზღვრება ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გამოქვეყნებული კურსით, მათ შორის, სხვა სახელმწიფოებში გამოქვეყნებული კურსით იმ ვალუტის მიმართ, რომელზედაც არსებობს ლარის გაცვლის ოფიციალური კურსი, თუ ოპერაციის დღისათვის/საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის არ არსებობს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი.

პროექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ნამყვანმა პარტნიორმა/პარტნიორმა უნდა გამოიყენოს Info-euro-ს საშუალო შენონილი კურსი.



სქემა N 2

უცხოური ვალუტის გაცვლის პროცედურები



3. საგადასახადო დაბეგვრა: დაბეგვრა გრანტის მიმღები ბენეფიციარების სფეციფიკურობის გათვალისწინებით.

სამართლებრივი
ბაზა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი (განახლებულია 17.09.2010);

მიმოხილვა:

საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში რეგულირდება 2010 წლის 17 სექტემბერს განახლებული საქართველოს საგადასახადო კოდექსით და სხვა სამართლებრივი-ნორმატიული აქტებით(მენარმეთა შესახებ კანონით; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით; საქართველოს პრეზიდენტის და ფინანსთა მინისტრის ბრძანებულებებით; შემოსავლების სამსახურის ინსტრუქციებითა და მანუალებით). არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და სახელმწიფო დაწესებულებები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით განიხილებიან გადასახადის გადამხდელად. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კანონის თანახმად არასამენარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირები განიხილებიან, როგორც ორგანიზაციებად, რომლებიც არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას და აქედან გამომდინარე აქვთ განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმი სამენარმეო კომპანიებთან შედარებით. იგივე წესი მოქმედებს სახელმწიფო დაწესებულებებზე. ზოგადად აღნიშნული ორგანიზაციები არიან შემდეგი გადასახადების გადამხდელები: **დამატებული ღირებულების გადასახადი; საშემოსავლო გადასახადი; ქონების გადასახადი და იმპორტის გადასახადი.**

დამატებული ღირებულების გადასახადი:

ძირითადი ინფორმაცია

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, დამატებული ღირებულების გადასახადის(დღგ) გადამხდელად ითვლება, თუ ახდენს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე. აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირს ეკისრება დღგ-ის გადახდის ვალდებულება, მას დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება არ წარმოეშობა.

აღსანიშნავია, რომ გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გაიაროს დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაცია არა უგვიანეს ორი სამუშაო დღისა, თუ მის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000.00 ლარს.

დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლება

დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლება შესაძლებელია მოხდეს ჩათვლის უფლებით ან მის გარეშე.

ჩათვლის უფლებით გათავისუფლება ნიშნავს: პირს შეუძლია საქონლის ან/და მომსახურების შესაძენად გადახდილ დღგ-ზე, რომელიც შემდგომ ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებში არის გამოყენებული, დაიბრუნოს/ჩაითვალოს გადახდილი დღგ, ხოლო რეალიზაციის შემთხვევაში საქონლის/მომსახურების ფასს არ დაუმატოს დღგ.

ა(ა)იპ-ს, რომელიც არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მართალია არ ეხება ჩათვლის უფლებით დღგ-გან გათავისუფლება, თუმცა ეს მნიშვნელოვანია ა(ა)იპ-ის მიერ პროექტის (გრანტის) ფარგლებში შეძენილი საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში. საქონლის მომწოდებელს/მომსახურების გამწვეს შეუძლია იხილოს რეესტრი, სადაც აღნიშნულია, რომ მოცემული სუბიექტის მიერ განსახორციელებელი პროექტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (ჩათვლის უფლებით), მაშინ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში საქონლის/მომსახურების ღირებულებას აღარ დაამატებს დღგ-ს, რაც საბოლოო ჯამში შედგავათია ა(ა)იპ-თვის.

ჩათვლის უფლებით დღგ-გან გათავისუფლებულია საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და საქონლის იმპორტი, თუ აღნიშნული ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში. ხელშეკრულებების შესაბამისად ასეთი საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა ან/და საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-სგან.

ტრანზაქციების გათავისუფლება დღგ-ს ჩათვლის უფლების გარეშე ნიშნავს რომ ტრანზაქცია არის დღგ-სგან გათავისუფლებული და დღგ-ს ჩათვლა არ ხდება.

ჩათვლის უფლების გარეშე დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლება გულისხმობს: პირმა რომელმაც საქონლის ან/და მომსახურების შესაძენად გადახდილი დღგ ჩაითვალა და აღნიშნული საქონელი ან/და მომსახურება ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციებში არის გამოყენებული, ვალდებულია აღადგინოს ჩათვლილი დღგ.

ა(ა)იპ-სთვის ეს საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ.

გრანტით შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე დღგ-ის ჩათვლა ან დაბრუნება ხორციელდება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესით: პროგრამის/პროექტის ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენისას გადახდილი დღგ-ის დაბრუნების მიზნით, საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება განაცხადი (იხილეთ დანართი II), რომელსაც თან უნდა დაერთოს შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გამონერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების პირველი ეგზემპლარები.

დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა ან დაბრუნება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადება შემოსავლების სამსახურს წარედგინება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებიდან მომდევნო 3 თვის ვადაში.

საქართველოს და ევროკავშირის შორის საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული 25.02.2009, საერთაშორისო ჩარჩო ხელშეკრულების შესაბამისად საგადასახადო შეღავათებით (მათ შორის, დღგ-თი გათავისუფლება) სარგებლობის მიზნით, განსახორციელებელი პროგრამის/პროექტის დამფინანსებელი (დონორი) მხარის მიერ შემოსავლების სამსახურს წარედგინება პროგრამის/პროექტის განმახორციელებელი/მონაწილე პირების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ცვლილების შემთხვევაში დაზუსტებული ინფორმაცია.

შემოსავლების სამსახური ინფორმაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს პროგრამის/პროექტის განმახორციელებელი/მონაწილე პირების შესახებ მონაცემების საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიან ელექტრონულ რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) შეტანას, რომელიც მტკიცდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. რეესტრი განთავსდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.rs.ge). აღნიშნული პროცედურის შესახებ პრაქტიკული ინფორმაცია იხილეთ სქემა №3-ს სახით.


საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირისათვის საქონლის მიწოდებისას ან/და მომსახურების გაწევისას სავალდებულოა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამონერა, რომელშიც დღგ-ის თანხის აღმნიშვნელ სტრიქონზე მიეთითება "0" (ნული).

ორგანიზაციის მიერ პროგრამის/პროექტის ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენისას, საქონლის მიწოდებელი (გამყიდველი) ან/დამომსახურების გამწევი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამონერამდე, ვალდებულია გადაამოწმოს რეესტრში ორგანიზაციის საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლება.

რაც შეეხება 10%-ნ თანადაფინანსებას, ბენეფიციარებმა ამ თანხებიდან შეძენილ საქონელზე ან მომსახურებაზე უნდა გადაიხადონ დღგ. ამ შემთხვევაში დღგ-ს თანხა არ გაითვალისწინება, პროექტის ხარჯად.

სქემა N 3

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტების ფარგლებში საგადასახადო შეღავათებით სარგებლობისათვის აუცილებელი პროცედურა



საშემოსავლო გადასახადი:

მიმოხილვა:

საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გადასახადს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებებისთვის. კანონის თანახმად იურიდიული პირი საშემოსავლო გადასახადს იხდის, როცა ფიზიკურ პირზე ახდენს ანაზღაურების გაცემას. შესაბამისად ვალდებულია დაუკავოს ფიზიკურ პირს საშემოსავლო გადასახადი და აღნიშნული თანხა გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში. საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული პროცედურის კანონიერად განსახორციელებლად აუცილებელია განვიხილოთ გადასახადის განაკვეთი; ანგარიშგების წესები; გადასახადისგან მთლიანად და ნაწილობრივ გათავისუფლებული პირების ჩამონათვალი. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 2014 წლისათვის შეადგენს 20%-ს.

ვალდებულება შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია გადასახადების დაკავებისა და მათი ბიუჯეტში გადარიცხვისათვის ეკისრება შემოსავლის გადამხდელ პირს. გადასახადის თანხის დაუკავებლობის შემთხვევაში შემოსავლის გადამხდელი პირი ვალდებულია ბიუჯეტში შეიტანოს დაუკავებელი გადასახადის თანხა ფაქტობრივად გადახდილი ანაზღაურების შესაბამისად და მასთან დაკავშირებული სანქციები. შემოსავლის გადამხდელის სახელით გადასახადისა და სანქციების თანხა შეიძლება გადაიხადოს შემოსავლის მიმღებმა.

საგადასახადო კოდექსით ფიზიკურ პირთა ნაწილი ნაწილობრივ ან მთლიანად არის გათავისუფლებული საშემოსავლო გადასახადისაგან. განვიხილოთ ის შეღავათები, რომელიც გასათვალისწინებელი იქნება პროექტის მიმდინარეობის პროცესში. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

- მიღებული გრანტი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დამქირავებლისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

- მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;
- პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართლის დედის“ საპატიო წოდება;
- მარტოხელა დედის;
- პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);
- პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;
- მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ- ან ორ შვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით;
- ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე.

ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში 3000 ლარამდე შეღავათით სარგებლობის მსურველი პირი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით წარუდგინოს დამჭირავებელს შეღავათით სარგებლობის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა. ერთზე მეტი სამუშაო ადგილის არსებობის შემთხვევაში გადახდის წყაროს, სადაც უნდა გავრცელდეს შეღავათი, განსაზღვრავს დაჭირავებული პირი. შესაბამისად დამჭირავებელმა დაჭირავებულის მიერ ამ ცნობის წარმოდგენის შემდეგ არ უნდა დააკავოს საშემოსავლო გადასახადი. გადასახადის დაკავების და ბიუჯეტში გადარიცხვის საკითხი რეგულირდება საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლით:

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალდება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი, კერძოდ:

პირი, რომელიც დაჭირავებულს უხდის ხელფასს, გარდა: არარეზიდენტის მიერ დაჭირავებულისათვის გადახდილი ხელფასისა, როდესაც ასეთი ხარჯი არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ხარჯებს;

საგადასახადო აგენტი ვალდებულია ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის, დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით. (განსაზღვრულია ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით).

პრაქტიკული ინფორმაცია

მცირე ზომის ორგანიზაციებისთვის ხშირად პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის სწორი განმარტება, რადგან უმეტესობას მიაჩნია, რომ მის ქვეშ იგულისხმება მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელფასი (ანაზღაურება). ეს არ არის სწორი ინტერპრეტაცია, რადგან საგადასახადო კოდექსის თანახმად ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაჭირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან.

პრაქტიკული რჩევები:

საშემოსავლო გადასახადის, ისევე როგორც სხვა გადასახადების, მოცულობის გაანგარიშების და დეკლარირების დროს აუცილებელია გადასახადის გადამხდელის მიერ დაცული იყოს "წინდახედულობის"

პრინციპი. საგადასახადო კოდექსში არსებული მუხლის ორმაგი ინტერპრეტირების დროს უმჯობესია გადასახადის გადამხდელმა მიმართოს შემოსავლების სამსახურს წინასწარი გადანაცვტილების გამოცემის მოთხოვნით საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად. კერძოდ, შემოსავლების სამსახური პირის მიმართვის საფუძველზე უფლებამოსილია გამოსცეს წინასწარი გადანაცვტილება განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე.

ქონების გადასახადი

მიმოხილვა:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ორგანიზაცია განიხილება ქონების გადასახადის გადამხდელად. რომელიც მოიცავს ორი ძირითადი სახის გადასახადს: ქონების გადასახადი და მიწის გადასახადი, რომელიც თავის მხრივ იყოფა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადებად. უნდა აღინიშნოს, რომ არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირები და სახელმწიფო დაწესებულებები არიან ქონების გადასახადის გადამხდელები შემდეგ შემთხვევებში:

- ქონების გადასახადი: ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნულმა სუბიექტებმა უნდა გადაიხადონ ქონების გადასახადი 1%-ს ოდენობით(იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201; 202 მუხლები).
- მიწის გადასახადი: თუ არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირს საკუთრებაში აქვს მიწა, ნებისმიერ შემთხვევაში ითვლება მიწის გადასახადის გადამხდელად, ხოლო სახელმწიფო დაწესებულება თუ ის ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას (იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 203; 204 მუხლები).

შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია ორგანიზაციის ქონება, აგრეთვე ორგანიზაციაზე ლიზინგით გაცემული ქონება, გარდა მიწისა და ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

მნიშვნელოვანია, რომ ა(ა)იპ-მა კარგად გაანალიზოს მის მიერ განხორციელებული საქმიანობა და დაადგინოს ხომ არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც საგადასახადო კოდექსით არის განსაზღვრული და ზუსტ თანხვედრაში არ არის მენარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრულ სამეწარმეო საქმიანობასთან.

ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა. ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება:

- სახელმწიფო ხელისუფლების, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ,რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების განწვეისა;
- საქველმოქმედო საქმიანობა;
- რელიგიური საქმიანობა;
- დაქირავებით მუშაობა;
- ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე;

❖ ცნობისათვის: საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად არასამეწარმეო/(არაკომერციული) იურიდიული პირი და სახელმწიფო ორგანიზაცია განიხილებიან ორგანიზაციებად;

იმპორტის გადასახადი

მიმოხილვა:

იმპორტის გადასახადელი (იმპორტის გადასახადი) არის გადასახადი რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან დაკავშირებით; იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა. იმპორტის გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებული საქონლის სახეობების მიხედვით. საგადასახადო კოდექსში განსაზღვრული იმპორტის გადასახადის შემდეგი განაკვეთები: 12 პროცენტი და 5 პროცენტი. იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც ასევე მოიცავს ტვირთის ტრანსპორტირების და დაზღვევის ხარჯებს.

იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

- იმ საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით, რომელიც არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დაითვლის გრანტის კომპონენტის რაოდენობას საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად.

პრაქტიკული ინფორმაცია

საიმპორტო საქონლისათვის გრანტის სტატუსის მისანიჭებლად გრანტის მიმღები ვალდებულია შემოსავლების სამსახურში მატერიალური ან ელექტრონული ფორმით წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- გრანტის მიმღების განცხადება;
- გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ან გრანტის გამოყოფის შესახებ გრანტის გამცემის წერილობითი გადაწყვეტილების ასლი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს “გრანტების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნებს;
- გრანტის მიმღები ორგანიზაციის წესდების ასლი;
- საიმპორტო საქონლის ინვოისის (ან პროფორმა ინვოისის ან ანგარიშ-ფაქტურის) ასლი;

უცხო ენაზე შედგენილ ყოველ დოკუმენტს, რომელსაც გრანტის მიმღები წარუდგენს შემოსავლების სამსახურს, უნდა ერთვოდეს სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი. შემოსავლების სამსახური სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღეში საქართველოში საიმპორტო საქონელს ანიჭებს გრანტის სტატუსს ან იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას გრანტის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

❖ ცნობისათვის: პირი არის ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ფიზიკური პირი, სანარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

საგადასახადო ხანდაზმულობის პერიოდი

- გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის თანხის დარიცხვისა და საგადასახადო ვალდებულების შესახებ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- ამ მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებული ვადა აითვლება შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან.
- კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო სანქციების დაკისრების ხანდაზმულობის ვადა არის 6 წელი.

აღსანიშნავია, რომ გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის თანხის დარიცხვის და საგადასახადო ვალდებულების შესახებ საგადასახადო მოთხოვნის, ასევე საგადასახადო ორგანოსათვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდში იქნება 5 წელი, 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში-4 წელი, ხოლო 2017 წლის 1 იანვრიდან-3 წელი.

4. მივლინების ხარჯები: მგზავრობისა და დღიური სამივლინებო თანხების ანაზღაურება ქართველ და უცხოელ დაქირავებულებს/ექსპერტებს

სამართლებრივი ბაზა	<ul style="list-style-type: none">• საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებულება დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ;• საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლი;• საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ;• დანართი H GIZ მივლინების დღიური ნორმები;
---------------------------	--

მიმოხილვა:

ქართველი და უცხოელი პროექტის თანამშრომლის/ექსპერტის მივლინების ხარჯები პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში, რომლებიც ხორციელდება საქართველოში, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე განსაზღვრულია საგრანტო პროექტის ფარგლებში შეთანხმებული ბიუჯეტით. შესაბამისად ბენეფიციარი(პარტნიორი)წარადგენს ბიუჯეტს და დონორი ადასტურებს თუ რა რაოდენობის თანხებს გაითვალისწინებენ პროექტის თანამშრომლების/პროექტის ექსპერტების მივლინებისათვის.

პროექტის ფარგლებში მივლინების ხარჯების ოპერირება ხდება ორი განსხვავებული რეგულაციის შესაბამისად: I-ლი ბენეფიციარის(პარტნიორის) ქვეყნის შიდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ადგენს გარკვეულ ნორმებს აღნიშნულ ხარჯებზე და მე-II GIZ-ს რეგულაციით, რომელიც ასევე ადგენს ნორმებს სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებით.

საქართველოში მივლინების ხარჯების რეგულირება ხდება შემდეგი წესების შესაბამისად:

კერძო სამართლის არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის ბრძანება №220-ით "დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ". განსაზღვრულია დღიური სამივლინებო თანხების და მგზავრობის ხარჯების ლიმიტები, რომელიც დაბეგვრას არ ექვემდებარება. ორგანიზაციას შეუძლია გადააჭარბოს ამ ლიმიტებს და ზენორმატიულ თანხაზე გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი.

სამივლინებო და ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურების შემთხვევაში, დაქირავებულ ფიზიკურ პირზე ხდება თანხების საქვეანგარიშოდ გაცემა, შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში აუცილებელია მოხდეს საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება და დაკავება.

აღნიშნული რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლით და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №220" დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ".

საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის:

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ განსაზღვრავს დღიურ და სადღეღამისო ნორმებს სახელმწიფო მოხელეთათვის (აღნიშნული ნორმები არ ექვემდებარება დაბეგვრას). ორგანიზაციამ შეიძლება გადააჭარბოს დადგენილ ნორმებს და ამ შემთხვევაში უნდა გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი გადაჭარბებულ ნორმაზე. იგივე ნორმები ვრცელდება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებზე.

პრაქტიკული ინფორმაცია:

საგადასახადო კოდექსის თანახმად ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი არ მოიცავს:

- დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებას საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული ნორმის ფარგლებში.

სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დაქირავებულის ბრძანებით ქვეყნის შიგნით დაქირავებულის მივლინებისას სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვრება 15 ლარის ოდენობით, რომელიც გაიანგარიშება მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეების გამოურიცხავად. ხოლო 30კმ-მდე მანძილზე მივლინებისას, როდესაც შესაძლებელია სამუშაო(საცხოვრებელ)ადგილზე იმავე დღეს დაბრუნება, ანაზღაურდება მხოლოდ მგზავრობის ხარჯები.

მგზავრობისა და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით დამადასტურებელი დოკუმენტების(ხელშეკრულება, ინვოისი, ჩეკი და სხვ.)წარმოდგენის საფუძველზე.

სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების დროს საუბარია დაქირავებულისთვის გადახდილ თანხებზე და შესაბამისად კანონით განსაზღვრული ნორმაც მხოლოდ თანამშრომელზე მოქმედებს. პროექტის ფარგლებში ექსპერტთან მომსახურების განწევამდე გაფორმებული ხელშეკრულებით, ექსპერტი არ ითვლება თანამშრომლად და შესაბამისად მასზე გაცემული მგზავრობის და დღიური ანაზღაურების თანხები სრულად ექვემდებარება საქმოსავლო გადასახადით დაბეგვრას.

რაც შეეხება უცხოელ ექსპერტს, რომელიც არ წარმოადგენს ბენეფიციარის(პარტნიორის) თანამშრომელს, მისი დაბეგვრის დროს საგადასახადო კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად უნდა დადგინდეს რეზიდენტობის საკითხი. ძირითად შემთხვევებში უცხოელი ექსპერტი არის არარეზიდენტი ფიზიკური პირი და მასზე გაცემული თანხების დაბეგვრა განსხვავებული რეჟიმით ხორციელდება.

საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ჩარჩო ხელშეკრულების შესაბამისად საგადასახადო შეღავათებით (მათ შორის, დღგ-ის გათავისუფლება) სარგებლობის მიზნით, აღნიშნული გრანტის ფარგლებში არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურების(დღიური ანაზღაურების ჩათვლით) ღირებულებაზე უკუდაბეგვრის წესით გადასახდელი თანხა გათავისუფლებულია დღგ-სგან. (იხ. დიაგრამა 3), რაც შეეხება 10%-ნი თანადაფინანსების თანხებიდან შეძენილი მომსახურების ფარგლებში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის თანახმად, ბენეფიციარმა უნდა დაბეგროს არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება დღგ-ს უკუდაბეგვრის წესით და გადაიხადოს თანხა ბიუჯეტში.

პრაქტიკული ინფორმაცია:

ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოკლევადიანი მივლინების დროს დაქირავებულისათვის სადღეღამისო ხარჯებისათვის და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების ნორმები. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე გთავაზობთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მოკლევადიანი მივლინების დროს განსაზღვრულ ნორმებს:

სადღეღამისო და ბინის დაქირავების ნორმები საქართველოში დასაქმებულთა მივლინებისათვის სომხეთსა და აზერბაიჯანში

ქვეყანა	ვალუტა	სადღეღამისო ნორმა	ბინის დაქირავების დღიური ნორმა
სომხეთი	USD	35	105 ერევანში, 53 ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე
აზერბაიჯანი	USD	35	125 ბაქოში, 60 ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე

პრაქტიკული რჩევები	<ul style="list-style-type: none">• ორგანიზაციის თანამშრომლის უცხოეთში ან საქართველოს ტერიტორიაზე მივლინების დროს აუცილებლად უნდა გამოიყენოს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ბრძანება, რომელშიც მიეთითება თანამშრომლის მონაცემები; მივლინების პერიოდი და ადგილი; მივლინების მიზანი.• თუ სამივლინებო თანხები აღემატება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს, აუცილებელია სხვაობა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით.
---------------------------	--

GIZ-ს რეგულაციით პროექტის ფარგლებში დაქირავებულზე გაცემული მივლინების ხარჯებს განსხვავებული შინაარსი აქვთ საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულ ანალოგიურ ხარჯებთან შედარებით. იხილეთ: <http://eaptc-ma.eu/en/page/cat/1/armenia---georgia/> (Annex H Daily Allowance rates [Per diem] GIZ).

EaPTC პროგრამის გარდა, არსებულ სხვა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში გამოიყენება ევროკავშირის რეგულაციით დადგენილი სამივლინებო დღიური ნორმები: http://ec.europa.eu/europeaid/sites/devco/files/perdiem-2013-07-corrigendum-3-febr-2014_en.pdf

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების თავისებურებები

სამართლებრივი ბაზა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (მიღებული ცვლილება 14.12.2006, №3967)

მიმოხილვა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად არასამეწარმეო(არაკომერციულ) იურიდიულ პირს უფლება აქვს ეწეოდეს დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას, თუმცა არსებითად ამ ტიპის საქმიანობაზე გადასვლა არ არის ნებადართული. წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება ა(ა)იპ-ის ლიკვიდაცია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით ორგანიზაცია, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში განიხილება, როგორც საწარმო და მასზე ვრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რაც კოდექსის მიხედვით მენარმე სუბიექტებისთვის არის განსაზღვრული. დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების დროს ორგანიზაცია ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი და შესაბამისი ხარჯები გამოყოს მთლიანი შემოსავლიდან და ხარჯებიდან, რაც საკმაოდ რთული პროცესია. განსაკუთრებით პრობლემატურია ისეთი ხარჯების გამიჯვნა, რომლებიც როგორც ეკონომიკურ ასევე საქველმოქმედო საქმიანობასთან არის დაკავშირებული. მაგალითად: კომუნალური გადასახადები, სანვაგის ხარჯი, ავტომობილის ცვეთის ხარჯი და სხვა.

პრაქტიკული ინფორმაცია:

დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის წარმოების დროს ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მოგების გაანგარიშება; შესაბამისი დეკლარაციის წარდგენა და გადასახადის გადახდა.

თუ ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მისი ქონებისა და საქმიანობის ნაწილი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ორგანიზაციის ეკონომიკურ საქმიანობასთან ექვემდებარება დაბეგვრას.

6. შეძენის პროცედურები: საქონლისა და მომსახურების შეძენა; ალჭურვილობის და მასალების შეძენა: შეძენა და რეგისტრაცია

<p>სამართლებრივი ბაზა</p>	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (31 მარტი, 2005); • დანართი IV (მე-2 ნაწილი), ავალდებულებს ბენეფიციარებს და პარტნიორებს, რომ პატივი სცენ ეროვნულ მოთხოვნებს და წარმოშობის წესებს (Rules of Origin);
----------------------------------	--

მიმოხილვა:

შესყიდვის პროცედურები საქართველოში რეგულირდება საქართველო კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, შესაბამისად (31 მარტი, 2005). რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, აღნიშნული კანონის დაცვა მათთვის არა არის სავალდებულო.

შესყიდვები განხორციელებული სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ:

„სახელმწიფო შესყიდვების“ კანონით განსაზღვრულია ის სფეროები/საქმიანობები, რომლებზეც არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონი. შტატ გარეშე თანამშრომლების დაქირავებისათვის არ არის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის გამოყენება. შესაბამისად საჯარო დაწესებულების მიერ პროექტის ფარგლებში შესაძლებელია შტატ გარეშე თანამშრომლის დაქირავება ტენდერის ორგანიზების გარეშე.

თუ საგრანტო ხელშეკრულება მოიცავს გრანტის მიმღების(საჯარო დაწესებულება) მხრიდან საქონლისა ან მომსახურების შესყიდვის განხორციელებას, მაშინ აუცილებელი ხდება შესყიდვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენება.

კანონით დადგენილია სახელმწიფო შესყიდვების შემდეგი ფორმები:

- გამარტივებული შესყიდვა – 5 000.00 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა. კანონმდებლობით განსაზღვრულია სხვა გამონაკლისებიც.
- გამარტივებული ელექტრონული ტენდერი – 200 000.00 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა;
- ელექტრონული ტენდერი – 200 000.00 ლარის ან მეტი ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა.

❖ წლის განმავლობაში ერთგვაროვანი შესყიდვები ჯამდება და მათი ხელოვნურად დაყოფა დაუშვებელია.

<p>პრაქტიკული რჩევები</p>	<p>საჯარო დაწესებულების მიერ გრანტის მიღების პროცესში აუცილებლად უნდა მოხდეს საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი საქონლის/მომსახურების შეძენის პროცედურის (მწარმოებელი ქვეყანა) გათვალისწინება, რომელიც არ არის განსაზღვრული საქ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით.</p>
----------------------------------	--

არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შესყიდვები:

მიმოხილვა:

გრანტის ფარგლებში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების საერთო წესები და პროცედურები ზემოთაღნიშნულ თავებშია აღწერილი. EaPTC პროექტების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული პროგრამის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა EaPTC პროექტების განხორციელების სახელმძღვანელოს თავი 3-ს შესაბამისად „მომსახურება, მასალები და სამუშაოები“. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი და (ან) არასაბიუჯეტო სახსრებით საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, შესყიდვისას ქართველმა ბენეფიციარებმა/პარტნიორებმა მხოლოდ ევროკავშირის პროგრამის შესყიდვის პროცედურები უნდა გაითვალისწინონ.



მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ უნდა ვრცელდებოდეს ყველა ორგანიზაციაზე, რომელიც საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვას თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ან სპეციალიზებული სახელმწიფო სახსრებით ახორციელებს.

EaPTC გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვის პროცედურები (გრანტის ხელშეკრულების დანართი IV):

ბენეფიციარსა და პროექტის პარტნიორს შორის საკუთრების უფლების გადაცემა ამ ორ მხარეს შორის დადებული ცალკე ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. ამ ხელშეკრულებას ეწოდება: „საკუთრების უფლების გადაცემა კომპენსაციის გარეშე“, რომელსაც ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი უნდა ახლდეს.

გრანტიის მიზნით, რომ ქონება პარტნიორი ორგანიზაციის ბალანსზე ირიცხებოდა, ბენეფიციარმა პარტნიორისგან შემდეგი დოკუმენტები უნდა მოიპოვოს:

- ინვენტარიზაციის უწყისები (ძირითადი საშუალებების შემთხვევაში) აღჭურვილობის ერთეულზე პასუხისმგებელი პირების მითითებით;
- ანგარიშის ფორმულარი (ანგარიში „ძირითადი საშუალებები“ ან “მოკლევადიანი გამოყენების საქონელი”) ანგარიშის ანალიზი (ანგარიში „ძირითადი საშუალებები“ ან “მოკლევადიანი გამოყენების საქონელი”);
- წიგნში გაკეთებული ჩანაწერები (რეესტრები) ძირითადი ან მიმდინარე აქტივების ბალანსზე გადაცემის და შეტანის შესახებ.

საერთო წესები, რომლებიც ტენდერის ყველა პროცედურის მიმართ გამოიყენება ევროკავშირის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ხელშეკრულებების დადების წესებს (PraG) ეფუძნება, რომელიც EaPTC პროექტის განხორციელების სახელმძღვანელოშია აღწერილი. საერთო წესები, რომლებიც ტენდერის ყველა პროცედურის მიმართ გამოიყენება აღწერილია EaPTC პროექტის განხორციელების სახელმძღვანელოს IV დანართის ნაწილში 3. (და შესაბამისად არ ეხება ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო მართვის ორგანოებს) შემდეგი სახით:

სატენდერო დოკუმენტაცია მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად უნდა იყოს მომზადებული. ბენეფიციარს და პარტნიორებს შეუძლიათ ევროკავშირის ფარგლებს გარეთ არსებულ ქვეყნებთან დაკავშირებული ნიმუშები გამოიყენონ, რომელიც ევროკავშირის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული კერძოდ, თავები 3 (მომსახურება), 4 (მიწოდება) და 5 (სამუშაოები) PraG-ის დანართების ჩათვლით (შენიშვნა, ეს სავალდებულო არ არის). ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, საკუთარი პროცედურები ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილებას შეუდარეთ, როგორც ეს აღნიშნულ თავში და დანართებშია აღწერილი და მათი ადაპტირება საჭიროების მიხედვით მოახდინეთ.

- სატენდერო დოკუმენტაციის და მასში მონაწილეობის მიღებაზე განაცხადისმიდების ვადები საკმაოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, იმისთვის, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა სატენდერო განაცხადის მომზადება და წარდგენა გონივრულ და სათანადო დროში შეძლონ (მაგ. PraG- ში:
 - 60 დღე მოწოდებისთვის და 90 დღე სამუშაოებისთვის საერთაშორისო განაცხადებისთვის,
 - 30 დღე მოწოდებისთვის, 60 დღე სამუშაოებისთვის ადგილობრივი განაცხადებისთვის).
- კონკურსში მონაწილეობისთვის შეტანილი ყველა განაცხადი და სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც მიჩნეულია, რომ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, შემფასებელმა კომისიამ მათი შეფასება და რაწერიება გამონაკლისის, და გამარჯვებულის შერჩევის წინასწარ გამოცხადებული კრიტერიუმის საფუძველზე უნდა განახორციელოს.
- აღნიშნულ კომიტეტში წევრების კენტი რაოდენობა უნდა იყოს და მათგან არანაკლებ სამ წევრს ყველა ტექნიკური და ადმინისტრაციული შესაძლებლობები უნდა გააჩნდეს, რაც მონაწილეობისთვის სატენდერო განაცხადების შესახებ დასაბუთებული მოსაზრების მოწოდებისთვის არის აუცილებელი. დანართი IV (ნაწილი 2) ბენეფიციარს და პარტნიორებს ავალდებულებს დაიცვან წარმომავლობის (ქვეყნის) განსაზღვრის და ნაციონალობის განსაზღვრის წესები.

**EaPTC გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში გამოყენებული შესყიდვის
შეზღუდვები(გრანტის ხელშეკრულების დანართი IV)**

მომსახურება	≥ €300,000 საერთაშორისო შეზღუდული ტენდერის პროცედურები	< €300,000 მაგრამ > €20,000 შეთანხმებული პროცედურები გამოქვეყნების გარეშე(არა უმეტეს 3 შეთავაზება)		≤ €20,000 პირდაპირი ტენდერი
მონოღება	≥ €300,000 საერთაშორისო ღია ტენდერის პროცედურები	< €300,000 მაგრამ ≥ €100,000 ადგილობრივი ღია ტენდერის პროცედურები	< €100,000 მაგრამ >€20,000 შეთანხმებული პროცედურები გამოქვეყნების გარეშე (არაუმეტეს 3 შეთავაზება)	
სამუშაოები	≥ €5,000,000 საერთაშორისო ღია ტენდერის პროცედურები	< €5,000,000 მაგრამ ≥ €300,000 ადგილობრივი ღია ტენდერის პროცედურები	< €300,000 მაგრამ > €20,000 შეთანხმებული პროცედურები გამოქვეყნების გარეშე (არაუმეტეს 3 შეთავაზება)	

დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე:

<http://ec.europa.eu/europeaid/prag/document.do?chapterId=2.4.1.&id=221>

რეგისტრაციას დაქვემდებარებული აღჭურვილობის შესყიდვა:

რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონება:

მიმოხილვა:

საქართველოში ქონების ნაწილი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციას. აღნიშნული პროცესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ყურადღება გავამახვილოთ 2 ტიპის ქონების რეგისტრაციის პროცედურაზე:

- უძრავი ქონების რეგისტრაცია(მათ შორის სარგებლობის უფლებით მიღებული ქონება).
- მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია.

საჯარო რეესტრის წარმოებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სააგენტო, რომელიც არის საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი მარეგისტრირებელი ორგანო. საჯარო რეესტრი არის უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრების ერთობლიობა.

საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება:



- საკუთრება;
- აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა;
- უზუფრუქტი;
- სერვიტუტი;
- იპოთეკა;
- ქირავნობა, ქვექირავნობა;
- იჯარა, ქვეიჯარა;
- თხოვება;
- ლიზინგი;
- საჯარო სამართლით გათვალისწინებული სარგებლობასა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებები;
- უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

ქირავნობისა და ქვექირავნობის ტიპის გარიგების დროს, თუ ერთ-ერთი მხარე კერძო სამართლის იურიდიული პირია და გარიგება 1 წელზე მეტი ვადით არის განსაზღვრული, აუცილებელია ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

მექანიკური ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის წესი განისაზღვრება შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ.

რეგისტრაციას ექვემდებარება:

- მსუბუქი ავტომანქანის ძარის გადაფორმება
- სატვირთო ავტომანქანის ვაბინის ან ჩარჩოს გადაფორმება
- ფურგონის ტიპის სატვირთო ავტომანქანის ან ავტობუსის ძარის გადაფორმება
- სატრანსპორტო საშუალების ძრავის გადაფორმება

პრაქტიკული ინფორმაცია

1 წელზე მეტი ვადით ქირავნობისა და ქვექირავნობის ტიპის გარიგების დროს, რომელშიც მონაწილეობს ორგანიზაცია, ხელშეკრულების რეგისტრაციის ვალდებულება წარმოექმნება ორგანიზაციას. აღნიშნული პროცედურა განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის “საჯარო რეესტრის” მიერ. პროცედურის ღირებულება შეადგენს 50 ლარს. მექანიკური ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის მოსაკრებლის სიდიდე შეადგენს:

მსუბუქი ავტომანქანის ძარის გადაფორმება	40 ლარი
სატვირთო ავტომანქანის ვაბინის ან ჩარჩოს გადაფორმება	32 ლარი
ფურგონის ტიპის სატვირთო ავტომანქანის ან ავტობუსის ძარის გადაფორმება	63 ლარი
სატრანსპორტო საშუალების ძრავის გადაფორმება	38 ლარი

7. გამარტივებული პროცედურები მშენებლობის ნებართვისათვის

სამართლებრივი ბაზა	საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 54 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
---------------------------	--

მიმოხილვა:

EaPTC პროექტების ფარგლებში შესაძლებელია მცირე ბიუჯეტის პროექტების დაფინანსება, რომლებიც უფრო მეტად მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების დასაძლევად (ექსპერტიზა, შესწავლა და ა.შ.) და ნაკლებადაა ორიენტირებული სამშენებლო სამუშაოებზე ან მოწყობილობების შესყიდვაზე ან ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე. პროგრამა პრიორიტეტს მიანიჭებს ისეთ პროექტებს, რომლებიც მეტად ორიენტირებული იქნება ინსტიტუციურ განვითარებაზე, ტრენინგებზე (სემინარები, კონფერენციები), რეფორმების მხარდაჭერაზე, გამოცდილების გაზიარებაზე, სადაც დაბალანსებული იქნება აქტივობები, თუმცა ძალიან მცირე დოზით მშენებლობა-რეაბილიტაცია-შესყიდვების კომპონენტს შესაძლებელია იქნეს გათვალისწინებული (პროექტის მიზნებისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით). მაგალითად ასეთი სახის აქტივობები შესაძლებელია იქნეს ჩართული 250.000 ევროს ფარგლებში არსებულ პროექტებში.

ზოგადი ინფორმაცია:

მშენებლობის ნებართვის მისაღებად, დამკვეთმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო სამუშაოებისათვის საწყისი მონაცემების მოძიება. საპროექტო სამუშაოების საწყის მონაცემებს (დოკუმენტებს, ინფორმაციას) განეკუთვნება:

- მიწის ნაკვეთ(ებ)ზე საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საკადასტრო რუკა);
- მიწის ნაკვეთ(ებ)ის ტოპოგრაფიული რუკა არსებული მდგომარეობით (მასშტაბი 1:500);
- მიწის ნაკვეთ(ებ)ზე არსებული შენობა-ნაგებობების აღწერა (ძირითადი მონაცემები);
- ქალაქ-მშენებლობითი დოკუმენტების, მათ შორის, განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნები, როდესაც მიწის ნაკვეთ(ებ)ი მდებარეობს ქალაქ-მშენებლობითი დოკუმენტების მოქმედების არეალში;
- საჭიროების მიხედვით, სხვა მონაცემები (დოკუმენტები, ინფორმაცია);

ნებართვის გაცემის გამარტივებული პროცედურა:

- დამკვეთს ან მის წარმომადგენელს აქვს უფლება, მშენებლობის ნებართვა მიიღოს ერთი სტადიით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით;
- ნებართვის მაძიებელი მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგენს მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო ყველა დოკუმენტს ერთად.
- მშენებლობის განხორციელების დოკუმენტის სხვა ტერიტორიაზე გამოყენების შემთხვევაში (გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების ტერიტორიებისა), მშენებლობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ პირველი სტადიით და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი გეოლოგიური დასკვნისა და ფუძე-საძირკვლის პროექტის საფუძველზე;
- კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე მშენებლობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ მესამე სტადიით.

დამკვეთი უფლებამოსილია მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ზოგადი პროცედურისგან განსხვავებით, აირჩიოს ორსტადიიანი ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული სტადიების ადმინისტრაციული წარმოების ვადებია:

- სტადია I- სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება, არა უმეტეს 30 დღე;
- სტადია II - მშენებლობის ნებართვის გაცემა, არა უმეტეს 20 დღე;

ახალი მშენებლობა

მშენებლობას, რომელიც ხორციელდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება, ეწოდება ახალი მშენებლობა.



ნაწილი 3 პროექტის აუდიტი



სამართლებრივი ბაზა	ევროკავშირის გრანტ კონტრაქტი-ტექნიკური დავალება ხარჯების დასამონმებლად;
-------------------------------	---

მიმოხილვა:

პროექტის ხარჯების შემონმების მიზნით, პროექტის ბენეფიციარები და პარტნიორები ვალდებული არიან დაიქირაონ აუდიტორი(IFAC--ს მოთხოვნების და ტექნიკური დავალების შესაბამისად). პროექტის კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით, ბენეფიციარებს მოეთხოვებათ ხარჯების შემონმება და ანგარიშის მომზადება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გრანტის ხელშეკრულების მიხედვით.

ხარჯების შემონმების ანგარიში უნდა მომზადდეს აუდიტორის მიერ: ა) არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის აუდიტორი უნდა იყოს იმ პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რომელიც გაერთიანებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში (IFAC); ბ) სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის აუდიტორი უნდა იყოს სერტიფიცირებული საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ; აღნიშნული აუდიტორები იღებენ ვალდებულებას აღნიშნული გარიგება განახორციელონ, ხარჯების შემონმების ტექნიკურ დავალებაში მითითებული IFAC-ის სტანდარტებისა და ეთიკის კოდექსის შესაბამისად, რომელიც გრანტის ხელშეკრულებას დანართის სახით ერთვის.



1. აუდიტორის დაქირავება საქართველოში პროექტის ხარჯების შემოწმების მიზნით (ხარჯების შემოწმება ტექნიკური დავალების შესაბამისად)

სამართლებრივი ბაზა	<ul style="list-style-type: none"> • საქ. კანონი ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ, მიღებული 29.06.2012; • საქ. კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ, მიღებული 22.06.2012.
---------------------------	--

მიმოხილვა:

პროექტის განხორციელების დასაწყისში, ბენეფიციარები პირველი ტრანშის სახით მიიღებენ დაფინანსების ნაწილს. მომდევნო თანხების მიღება პროექტის მსვლელობისას, ფინანსური ანგარიშგების წარდგენით და შესაბამისად ფაქტური ხარჯების შემოწმების(აუდიტის) საფუძველზე იქნება შესაძლებელი. ბენეფიციარებმა პროექტის აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ხარჯების შემოწმება(აუდიტი) ევროკავშირის ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნებისთვის ევროკავშირის მიერ გრანტის ხელშეკრულების დაფინანსების მოქმედი წესების შესაბამისად უნდა განხორციელონ. ხარჯების შემოწმება(აუდიტი) ტექნიკური დავალების შესაბამისად უნდა განხორციელდეს, რომელიც გრანტის ხელშეკრულებას დანართის სახით თან ერთვის.

ხარჯების შემოწმების ანგარიში აუდიტორის მიერ უნდა მომზადდეს, რომელიც იღებს ვალდებულებას მოამზადოს ანგარიში ტექნიკურ დავალებაში მითითებული IFAC-ს სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომელიც გრანტის ხელშეკრულებას დანართის სახით თან ერთვის.

აუდიტორი ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ ხარჯებს ამოწმებს:

- ბენეფიციარი იღებს პასუხისმგებლობას წარადგინოს ფინანსური ანგარიში, რომელიც გრანტის ხელშეკრულების პირობებს აკმაყოფილებს. აღნიშნული ფინანსური ანგარიში ბენეფიციარის სააღრიცხვო სისტემის, ბუღალტრული ჩანაწერების და პირველადი დოკუმენტების შედარების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. ფინანსური ანგარიშის დადასტურების მიზნით, ბენეფიციარი სრული, სწორი და ადეკვატური ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი.
- აღნიშნული ხარჯების შემოწმების შესახებ მომზადებულ ანგარიშში საკმაოდ დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მიზანი, შეთანხმებული პროცედურები და გარიგების ფაქტური შედეგები. იმისათვის, რომ ბენეფიციარი და დამკვეთი ორგანო გათვითცნობიერდნენ აუდიტორის მიერ განხორციელებული პროცედურების ხასიათში და მასშტაბებში, მის მიერ ანგარიშში წარმოდგენილი ფაქტური შედეგების ჩათვლით.
- ევროკავშირის გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში ხარჯების შემოწმების ანგარიშის მომზადებისას ტექნიკურ დავალებაში აღნიშნული ნიმუშის გამოყენება სავალდებულოა.

პრაქტიკული ინფორმაცია:

საქართველოში აუდიტორის შერჩევისას მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები არის:

1. კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის(მაგ. ა(ა)იპ, ორგანიზაციები): აუდიტორი უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტორთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს პროფესიული ორგანიზაცია და რომელიც თავის მხრივ არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი და ფლობდეს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის სერტიფიკატს, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია(ბაფ-ი) IFAC-ს ნამდვილი წევრია. კანონის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ თანახმად, ფედერაციის



კორპორატიული წევრები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ პროექტის ხარჯების შემოწმება(აუდიტი).

აუდიტური კომპანიების და საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი აუდიტორების ჩამონათვალის მოძიება შესაძლებელია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის კორპორატიული წევრების სიაში(იხილეთ ბმული: <http://gfpa.ge/site/images/stories/gfpa/wevroba/korpcevrebi681.pdf>).

2. საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის: აუდიტორი უნდა ფლობდეს სახელმწიფო აუდიტის ინსტიტუტის მიერ გაცემულ სერტიფიკატს, რაც რეგულირდება საჯარო აუდიტის შესახებ კანონის 36/4 მუხლის მიხედვით.

სტანდარტები და ეთიკა:

აუდიტორმა აღნიშნული დავალება უნდა განახორციელოს:

- თანმხლები მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის 4400 („ISRS“) შესაბამისად, გარიგებები შეთანხმებული პროცედურების განხორციელების შესახებ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით როგორც ეს IFAC-ის მოთხოვნებითაა გათვალისწინებული.
- IFAC-ს მიერ გამოქვეყნებული პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის შესაბამისად. მართალია, ISRS 4400-ის თანახმად, შეთანხმებული პროცედურების შესახებ გარიგების აუცილებელი მოთხოვნა დამოუკიდებლობა არ არის, მაგრამ დამკვეთი ორგანო მოითხოვს, რომ აუდიტორი კონსულტანტისაგან დამოუკიდებელი იყოს და პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის დამოუკიდებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

დანართები



დანართი I

ევროკომისიის დელეგაციის სახელზე წარსადგენი წერილის (მოთხოვნის) ნიმუში, რათა პროექტი შეტანილ იქნეს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადასახადებისაგან გათავისუფლებული პროექტების ელექტრონულ რეესტრში (წერილი არ ითარგმნა ქართულ ენაზე, რადგან პროცედურის თანახმად ევროკომისიის დელეგაციაში გაგზავნილ უნდა იქნეს მხოლოდ ინგლისურ ენაზე მომზადებული წერილი).

To: EU Delegation in Georgia
38 Nino Chkheidze St. Tbilisi, 0102 Georgia

Dear Mr. /Ms.

I would like to inform you that in the framework of the EU funded EaPTC Programme **<name of the beneficiary organisation>** has been awarded the EU grant project **<name of the project>**.

Hereby I would like to kindly ask you to provide inclusion of the project into the Tax Exemption Registry of the Ministry of Finance of Georgia (Revenue Service).

Attached are provided also:

1. Copies of the Grant Contract/Partnership Agreement.
3. Extract of the organisation by the Registry Body.

Number of pages _____

Best regards,

დანართი II

განაცხადი გადახდილი დღგ-ის დაბრუნების შესახებ

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

საიდენტიფიკაციო ნომერი

განაცხადი

გადახდილი დღგ-ის დაბრუნების შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ემუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, დაგვიბრუნოთ პროგრამის/პროექტის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხები შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

(ბანკის დასახელება და რეკვიზიტები)

(ანგარიშის ნომერი)

დანართი:

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების რაოდენობა

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები გვერდზე

განმცხადებლის ხელმოწერა _____

--	--	--	--	--	--	--	--	--	--

(თარიღი)



დანართი III

პროცედურების მოკლე მიმოხილვა

პროექტის დანყება	
პროექტის რეგისტრაცია და შეტყობინების გაგზავნა	<p>არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და სახელმწიფო ორგანიზაციები:</p> <p>ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს საქართველოში არ გააჩნიათ ლეგალური სტატუსი და შესაბამისად არ არიან დარეგისტრირებული არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში როგორც ევროკავშირის პროექტები.</p> <p>მიუხედავად ამისა, პროექტმა უნდა წერილობით მიმართოს ევროკომისიის დელეგაციას საქართველოში, რათა ამ უკანასკნელმა დაინყოს პროექტის გადასახადებისაგან გათავისუფლების პროცედურა.</p>
საბანკო ანგარიშის გახსნა	<p>არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები:</p> <p>ზემოთაღნიშნულ ორგანიზაციებს შეუძლიათ გახსნან ანგარიში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში საქართველოს ნებისმიერ კომერციულ ბანკში.</p> <p>ბანკში ანგარიშის გასახსნელად აუცილებელია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიმართოთ კომერციულ ბანკს; • შეავსოთ ანგარიშის გახსნის შესახებ განაცხადი და წარადგინოთ შესაბამისი დოკუმენტაცია; • გააფორმოთ ანგარიშის გახსნის შესახებ ხელშეკრულება. <p>საბანკო ანგარიშის გახსნა ხდება დაუყოვნებლივ ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენისთანავე.</p> <p>სახელმწიფო ორგანიზაციები: საჯარო სამართლის იურიდიული პირები და საბიუჯეტო ორგანიზაციები.</p> <p>საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ზემოთაღნიშნულ ორგანიზაციებს 2015 წლის 1 იანვრიდან შეუძლიათ გახსნან ანგარიშები მხოლოდ სახ. ხაზინაში.</p>

დანართი IV

ძირითადი ტერმინების განმარტებანი

Audit	გრანტის მიმღები ორგანიზაციის ფინანსური შემოწმება. აუდიტი ხორციელდება მიმღები ორგანიზაციის, ევროკომისიის, ევროკომისიის აუდიტორთა ოფისის ან მათი სახელით მონჭველი აუდიტორის მიერ. ეს არ არის ხარჯების დამონშების ანგარიში, რომელიც უნდა გაიგზავნოს პროექტის წამყვანი ორგანიზაციის (პარტნიორის) მიერ შემდგომი ტრანშის მოსათხოვნად.
Contracting Authority	ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია გრანტის განკარგვაზე და ხელს აწერს კონტრაქტს (PRAG-ის ტერმინი)
European Anti-fraud Office	ევროკომისიის სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია საეჭვო ფინანსური დარღვევების გამოძიებაზე.
European Court of Auditors	ევროკავშირის სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია ევროკავშირის ფინანსური სახსრების აუდიტზე. როგორც ევროკავშირის გარე აუდიტორი, ის პასუხისმგებელია ევროკავშირის ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესებაზე და მოქმედებს, როგორც ევროკავშირის მოქალაქეთა ფინანსური ინტერესების დამოიკიდებელი დამცველი.
Expenditure verification	ანგარიში პროექტის ხარჯების დამონშების შესახებ, მომზადებული შერჩეული (სერტიფიცირებული) აუდიტორის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური დავალებით დადგენილ კრიტერიუმებს. (საგრანტო კონტრაქტის დანართი VII).
Monitoring	პროექტის რეგულარული მეთვალყურეობის სისტემა, რომელიც აკონტროლებს თუ როგორ პროგრესირებს პროექტი რესურსების ათვისების, იმპლემენტაციის, შედეგების შესრულების და რისკების მენეჯმენტის კუთხით.
Narrative Report	შუალედური და საბოლოო ანგარიშის შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღწერს პროექტის იმპლემენტაციას.
Non-state non-profit organisations	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (როგორც აღწერილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 27-ე თავი).
Lead Partner	წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც აწერს ხელს გრანტ კონტრაქტზე გრანტის გამცემთან, პროექტის სხვა პარტნიორების სახელით და იღებს პასუხისმგებლობას პროექტის განხორციელებაზე.
Partner/project partner	ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობს პროექტის შედგენასა და განხორციელებაში პროექტის წამყვან ორგანიზაციასთან ერთად. ის აფორმებს თანამშრომლობის შეთანხმებას პროექტის წამყვან ორგანიზაციასთან.
Public bodies	<ul style="list-style-type: none"> საჯარო სამართლის იურიდიული პირი (განსაზღვრულია კანონით საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ; მიღებული 28.05.1999 თავი მე-2); საბიუჯეტო ორგანიზაცია (განსაზღვრულია საჯარო ორგანოების კანონით; მიღებული 31.10.1997 თავი მე-2); ადგილობრივი თვითმართვლობა-საკრებულო; მერია; სოფლის საკრებულო (განსაზღვრულია საჯარო ორგანოების კანონით; მიღებული 31.10.1997 თავი მე-2)

დანართი V

კითხვები და პასუხები

კითხვა:	რა საჭიროა საბანკო ანგარიშის გახსნა?
პასუხი:	<p>საბანკო ანგარიში არის მოსახერხებელი შესაძლებლობა თქვენი ფინანსური სახსრების სამართავად, რაც განიცხადებთ შემდეგ უპირატესობებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • თქვენი ფინანსური სახსრების უსაფრთხოება - ბანკი უზრუნველყოფს თქვენი ფინანსური სახსრების უსაფრთხოებას და მათთან ხელმისაწვდომობას. • ფინანსური სახსრების მართვა - საბანკო ანგარიშის არსებობის შემთხვევაში თქვენ შეძლებთ ყოველთვიური შემოსავლების და ხარჯების ანგარიშის მიღებას. ეს საშუალებას მოგცემთ გაიგოთ თქვენი ფინანსური სახსრების მოძრაობის სიზუსტე და შესაბამისად ზუსტად დაგეგმოთ თქვენი ბიუჯეტი. • თქვენს სახსრებთან მუდმივი ხელმისაწვდომობა - თქვენ შეძლებთ თანხის შეტანას და გამოტანას თქვენთვის სასურველ დროს ბანკის სამუშაო საათებში. • პროცენტის დარიცხვა - ბევრი ბანკი გთავაზობთ გარკვეული პროცენტის დარიცხვას, როდესაც თანხას ინახავთ ბანკში. პროცენტის დარიცხვა დაგეხმარებათ გაზარდოთ თქვენი ფინანსური სახსრები.
კითხვა:	სად შემიძლია საბანკო ანგარიშის გახსნა?
პასუხი:	საქართველოში საბანკო ანგარიშის გახსნა შეგიძლიათ ნებისმიერ კომერციულ ბანკში.
კითხვა:	რა შემთხვევებში შეუძლია უცხოეთის მოქალაქეს საქართველოს საზღვრის გადაკვეთა?
პასუხი:	უცხოეთის მოქალაქეს შეუძლია შემოვიდეს საქართველოს ტერიტორიაზე იმ შემთხვევაში თუ მას აქვს მოქმედი პასპორტი, ვიზის საჭიროების შემთხვევაში მოქმედი ვიზა ან რეზიდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.
კითხვა:	რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია უცხოეთის მოქალაქეს, რომელმაც არ ვრცელდება სავიზო რეჟიმი საქართველოში დარჩენა?
პასუხი:	იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომლებმაც ვრცელდება სავიზო რეჟიმი შეუძლიათ საქართველოში დარჩენა 90 დღე 180 დღიანი ინტერვალის პერიოდში, თუ რაიმე სხვა მოთხოვნა არ დაწესდება საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით. 2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი სავიზო რეგულაციები (დეტალური ინფორმაცია იხილეთ: http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=386)
კითხვა:	სად შემიძლია საქართველოს ვიზის მიღება?
პასუხი:	ვიზები გაიცემა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და საკონსულო დაწესებულებებში ან გამონაკლის შემთხვევებში საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სომხეთის, აზერბაიჯანის და ევროკავშირის მოქალაქეები სარგებლობენ უვიზო მიმოსვლის რეჟიმით (იხილეთ ბმული: http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=386).



კითხვა:	არის რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნა სომხური და აზერბაიჯანელი პარტნიორების მიმართ?
პასუხი:	რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნა სომეხი და აზერბაიჯანელი პარტნიორებისათვის არ არსებობს საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას. მათზე ვრცელდება უვიზო მიმოსვლის რეჟიმი და მათ შეუძლიათ იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე 90 დღით ნებისმიერი 180-დღიან პერიოდში.
კითხვა:	თუ დასაქმებულს აქვს საქმიანი მივლინება ახალქალაქიხეში და მან არ წარადგინა (არ გააჩნია) მივლინების ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, როგორ უნდა განისაზღვროს სამივლინებო ხარჯების ოდენობა?
პასუხი:	ფინანსთა მინისტრის 5 აპრილის N220 ბრძანებულების თანახმად, დასაქმებულის ცხოვრების და ტრანსპორტირების ხარჯები უნდა იქნეს ანაზღაურებული აღნიშნული ბრძანებულებით განსაზღვრული მინიმალური ნიხრების შესაბამისად. თანხის ანაზღაურება უნდა მოხდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ქვითრები ან სხვა.) მიხედვით და არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრულ ნორმებს. საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ გაიაროთ კონსულტაცია EaPTC პროგრამის ადმინისტრატორთან.
კითხვა:	იმ შემთხვევაში თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ატარებს ტრენინგს, რომლის მონაწილეებიც ასევე არიან სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ შემთხვევაში „დღიურები“ (Per diems) უნდა გადაუხადოთ თუ არა სხვა ორგანიზაციების წევრებს? სამართლებრივი კუთხით რამდენად მართებულია „დღიურების“ გადახდა აღნიშნული მონაწილეებისათვის?
პასუხი:	თუ ორგანიზაციას გააჩნია ფინანსური სახსრები პროექტის ფარგლებში, ისინი ითვლება პროექტის სახსრებად და შესაბამისად სხვა მონაწილე ორგანიზაციების მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯები შესაძლებელია დაფინანსდეს, თუ ისინი არ აღემატება პროექტის ფარგლებში GIZ-ის რეგულაციით განსაზღვრულ ნორმებს. GIZ-ის მიერ დაწესებული ნორმები ითვალისწინებს ცხოვრების(სასტუმროს) და დღიურ ხარჯებს. ეს ნიშნავს, რომ ასეთი ხარჯები უნდა იქნეს გათვალისწინებული პროექტის ბიუჯეტით, რომელიც მზადდება და მტკიცდება წინასწარ. მიუხედავად, ზემოთ აღნიშნულის საქართველოს კანონმდებლობით აღნიშნული ხარჯები არ განიხილება სამივლინებო ხარჯებად და უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით.
კითხვა:	თუ დასაქმებული იმყოფებოდა მივლინებით შაბათ დღეს, უნდა აუნაზღაურდეს თუ არა მას სამივლინებო ხარჯი?
პასუხი:	საქართველოს ფინანსთა მინისტრის 5 აპრილის N220 ბრძანებულების თანახმად, „დღიურები“ უნდა გაიცეს მივლინების ყველა დღეზე შაბათ-კვირის და უქმე დღეების ჩათვლით.

შენიშვნები

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

EaPTC

EaPTC

**ადმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული
თანამშრომლობის პროგრამა(EaPTC)**

ბიზნეს ცენტრი
საქართველო, თბილისი გამრეკელის ქ.19, ოფისი 411
ტელ: +995 790 369073
www.eaptc.eu

The Programme is implemented by Altair Asesores in consortium with CECOFORMA, EIR Global, ICBSS, PM Group and TRT

